საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

ბრძანება №52

2017 წლის 14 აგვისტო

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ და „ჯ[1]“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანებაში (სსმ III, 25.09.2007 წ., №133, მუხლი 1447) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას დაემატოს 2[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2[1]. ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირებისთვის (მოსახლეობა – საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე იმ ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების მიერ, რომელთაც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ 2017 წლის 1 ივლისის შემდგომ დაუდგინდათ ფიზიკური პირებისთვის (მოსახლეობა – საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) ბუნებრივი გაზის მიწოდების სამომხმარებლო ტარიფი.“.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი **ილია ელოშვილი**